წლიწადი პირველი — № 5. ნომერი 3 კაპეიკი სამშაბათი, 16 მაისი 1906 წ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

# ხმა

## ყოველდღიური გაზეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთი ღირს: | 1 წლით | . . | 5 მ. — კ. |
| „ | „ 6 თვით | . . | 2 მ. 50 კ. |
| „ | „ 3 „ | . . | 1 მ. 50 კ. |
| „ | „ 1 თვით | . . | — 50 კ. |
| ცალკე № „ | | . . . . | — 3 კ. |
| წლის დამლევამდის | | . . . | 3 მ. — კ. |

კ. მარ... საქ. სსრ სახელ... ...პუბლიკ. ბიბლიოთეკა

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მაისი ავსტრიაში, 2) ფელეტონი მშიერი. 3) რუსეთი. 4) ახალი ამბები. 5) დეპეშები. 6) ჩვენი ბიბლიოთეკა.

## 1 მაისი ავსტრიაში.

30 აპრილს ავსტრიის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომ 1 მაისის მანიფესტაცია იქნება უკანასკნელი მშვიდობიანი გაბრთხილება ძალის პატრონების და შესახებ საარჩევნო რეფორმის კითხვისა. პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლების კონფერენციამ დაუჭირა მხარი ამასვე. განზრახულია, მუშათა პარტიამ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო რეფორმის კითხვა რიგიდგან გამორიცხული იქმნა, პასუხად მთავრობის ამნაირ საქციელზე პასუხი **საყოველთაო გაფიცვით** უნდა გასცეს. თანხმობა საყოველთაო გაფიცვის მოსახდენად ყველა ცენტრალური და პროვინციალური მუშათა ორგანიზაციებიდგან მიღებულია უკვე.

საკვირველია სწორედ როდესაც ერთი მხრით პარტიას სწამს პარლამენტალური ბრძოლა (თუ ამ ნაირი ბრძოლა არსებობს), რომლის საშუალებითაც უნდა მუშა ხალხს მოუპოვოს პირობები თავისი მიზნის განსახორციელებლად, ჰგმობს საერთო გაფიცვას, რომელსაც კაუცკის სიტყვით უძახის ე. ი. საერთო გაფიცვა საერთო სისულელეაო როგორც პირდაპირ მოქმედებას და მეორე მხრით კი მიმართავს ამ უკანასკნელს, როდესაც დაინახავს, რომ პარლამენტში საქმე არ კეთდება. ის რაც პარლამენტის საშუალებით ვერ გაუყვანია, უნდა გაიყვანოს საერთო გაფიცვის საშუალებით, ე. ი. ამით აღიარებს იმას, რომ პირდაპირ მოქმედებით უფრო აღწევს მუშა ხალხი თავის მიზანს, განეს არა პირდაპირით, რომ პარლამენტისთვის სამძიმო საქმე, პირდაპირი მოქმედებისთვის უფრო მჩატე და ადვილია; მაშინ რაღა საჭიროა ისეთი ბერკეტით მოქმედება, რომლითაც ორი მისხალი აიწევა, თუ ხელში ისეთი ჭარალი გვაქვს, რომლრითაც მთელი სოფელი აიწევა? ალბათ რეალური პოლიტიკის ღრმა ლოღიკით საჭიროა მეტის ხარჯვა ნაკლების მოსაპოებლად.

ცხადია, რომ მუშათა პარტიას ავსტრიაში უნდა პასუხის მგებლობა მმართველ კლასს მოახვიოს თავზე, მაგრამ რა საჭიროა ეს, როდესაც და ისედაც მმართველი კლასსები პასუხის მგებლობისაგან არასოდეს არ ყოფილან და არც იქმნებიან თავისუფალი პასუხის მგებლობისგან, რამდგან პასუხის უგებლობა სხვისთვის არა სწამთ.

ავსტრიის მუშათა პარტიას, რომ თავისი გადაწყვეტილების შესახებ პირდაპირი მოქმედებისა სრცხვენია, ჩანს იქიდგან, რომ მას 1 მაისის მანიფესტით გაფრთხილება სდომებია მმართველ კლასსებისათვის. ჩვენი აზრით კი გაფრთხილება იმათი ვისაც ვებრძვით სისულელეა, რამოდენიმედ სიბრალული. სისულელეს დამარცხება მოჰყვება და სიბრალულს-კი კავშირი; ეს ორი ნაყოფი უცხოეთის ს.-დემოკრატიამ კარგათ იგემა. მის სულელურ მოქმედებას უნაყოფობა, და მაშასადამე, დამარცხება მოჰყვა—მის სიბრალულს მმართველ კლასსსებისადმი მოჰყვა მათთან კავშირი პარლამენტარულ ასპარეზზე. ავსტრიაში, როგორც სხვაგან, ამ გვარად იქცევა ს.-დ. მუშათა პარტია. ის მუხედავად იმისა, რომ თავის თავს მუშათა პარტიას უწოდებს, იმ შემთხვევაში, როდესაც ის მთავრობის და ბურჟუაზიის გაბრთხილებას ღებულობს თავზე, ნამდვილი მოღალატეა იმის, რასაც თითონ ემსახურება, ის თავის თავის მოღალატეა, როგორც მუშათა პარტიის, მაგრამ ის ლოღიკურად იქცევა, როგორც ორი პროგრამმის, ორი მიზნის იიმდევარი.

ავსტრიის მუშათა პარტია ცდილობს რაც შეიძლება მთავრობის თანხმობით იაროს სოციალისტურ გზაზე; მან გამოაკლო თავის მოთხოვნებში ყველაფერი, რაც დაინახა საჭირო იმისთვის, რასაც შეეძლო მთავრობასთან უთანხმოება გამოეწვია, რაც შეიძლებოდა საბაბათ გაეხადა მთავრობას მის გასამტყუნებლად.

მან არა თუ მიიღო, მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმის პროექტი, არამედ აღიარებს, რომ ეს არის ეხლა „ერთად ერთი შესაძლებელი“ ფორმა საარჩევნო სისტემისა ავსტრიაში. ეს ერთად ერთი შესაძლებელი საარჩევნო სისტემა-კი ისეთია, რომლითაც ეროვნული ოლქები ისეა განსაზღვრული, რომ არავითარი სამართლიანობა არ არის დაცული.

სოციალ-დემოკრატიამ ამგვარივე მოსაზრებით უარი სთქვა ქალების

# ფელეტონი

—

### მ შ ი ე რ ი.

(ელ. რეგლიუდამ).

აგერ, იქ, სადღაც კუთხეში მიყუჟულა კაცი—ბარგის მზიდველი. მოხუცის ზეჭებს და ოდესღაც მძლავრ მკლავებს უარი უთქვამთ მძიმე სადურგლო საქმეზედ.

უვარგისი დაუთხოვიათ ნავთ-სადგურიდამ, იმ ნავთ-სადგურიდამ სადაც მან ჩალვარა მთელი თავისი ჯან-ღონე, შესწირა თავისი სიცოცხლე. საბრალო უძლურს ვერც მეორე ნავთ-სადგურში უშოვნია ადგილი ლუკმა პურის მოსაპოებლად.

— რაღა დამრჩენია! უნდა მივმართო მდიდრებს—გაიფიქრა მოხუცმა და სიტყვა მდიდრის მოგონებასთან რაღაც მქენჯნავმა ჟრუანტელმა გაურბინა მთელ ტანში— მე მათ ბევრათ არ ვიცნობ, მაგრამ ვეებერთელა, მდიდრულად მორთულ, მოკაზმულ სახლებში ან მშვენიერ ბაღებში შესაძლოა მოიპოვებოდეს ჩემთვის შესაფერი საქმე.

ფიქრმა გაიტაცა მოხუცი იქითკენ.

განვლო ტოერი; დიდხანს იდგა ჰიანჭველასავით მოფუსფუსე ხალხით სავსე ლონდონის ხიდზედ; შემოუხვია კენნანტ-სტრიტისკენ; შურის თვალით შესცქეროდა წმ. პავლეს დიდებულ საკათედრო ტაძარს და ინგლისის ბანკს, განვლო გოლბორნ ჰილლი და ამნაირად მიადგა დაუსრულებელ ოკსფორდის ქუჩას. გართული, ცარიელის მუცლით შეუმჩნევლად აკლებს ფეხს-ფეხზედ თავის გზას.

ძვირფასი მაღაზიები თავის მდიდრულის სავაჭროთ ოქროს და ვერცხლის, მარგალიტის და ზურმუხტის ნივთებით ვერ იპყრობენ მშიერის ყურადღებას.

დამშეული ვერ გრძნობს, ვერ ამჩნევს ყველაფერს ამას. მის ახლო მოსჩანან ზარაფთა დახლები, სადაც გაშლილია სხვა და სხვაფერი ბანკის ბილეთები; მის ახლოს მოსჩანან ოქროთი და ვერცხლით სავსე ყუთები.

მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი ამ ოქროთაგანი, როგორ გააბედნიერებდა მოხუცს...

მშიერის თვალი ხარბათ შესცქერის „გასტრონომიულ და ხილის მაღაზიების ფანჯრებს... თვალები უდიდდება... აუტანელ ტკივილებს გრძნობს კუჭში... ოხ, ეს ვერმიშელით და მაკარონით სავსე დიდრონი ყუთები, კასრები ბრინჯით!... მაღაზიათა ფანჯრებზედ დაგორავებული „ტორტები“ და „პაშტეტები“ უნებლიეთ აჩერებს, აქვავებს მშიერს; მშვენივრად გამოყვანილი ლორი, სხვა და სხვა ნადირთა ხორცი, აუარებელი აკიდო ძეხვისა, მსუქანი ყველი იტაცებენ მის თვალს, უფრო უმატებენ გრძნობას სიმშილისადმი, უფრო ძალიან ქენჯნიან მის ცარიელს კუჭს... მაგრამ, აი კიდევ პორტუგალიური ყურძენი, აი ბერმუდის განთქმული ხილეულობა ფლორიდიდამ... ყველაფერი ეს ხომ არაფერი ღირს—გარდა ერთი ფულისა.

მშიერი ძალით შორდება ამ თვალწარმტაც მშვენიერებას.. მიჩერჩეტებს, განაგრძობს გზას კორტა ხელგრაფის მოედნისაკენ და იკარგება ძვირფას ვესტენლის ქუჩებში, სადაც მოუგროვებია თავი მთელი ქვეყნის სიმდიდრეს, გადაქცეულა უძირო ზღვად მსოფლიო მშრომელთა ოფლისა... მიფრატუნებს... სჭრის მოკლე ბილიკებით ყოველ დიდს გზას, რომლის გარშემო დასახლებული ოჯახებში ხარჯავენ წლობით არა ნაკლებ 1000 გინეისა მთელი რიგი მდიდარ სასახლეთა, სავსე ყოველის გარყვნილება-ფუფუნებით თითქმის საჯიბროთ ჩაჭიმულან უპერ-ბანო საწყალთათვის... არა, არსად მთელ დედე-მიწის ზურგზედ არ მოიპოვება ამდენი სიმდიდრე... მაგრამ სიმდიდრე თავის შესაფერად ფრთხილათაა დაცული: ფართო, ნათელ სახლითა და ქუჩათა შორის, ედემის წალკოტივით ამწვანებულან, მშვენიერი, ლამაზი ბაღები. ბაღებსაც ამ გვარადვე იცავენ ლობემოაჯირები გალესილ შუშისებურ რკინებით. კარიც მაგრაა ჩაკეტილი რკინის კლიტით.

შენ არ უნდა გაუარო, არ უნდა გაგევლო გვერდით საბრალო კაცო!..

მშიერი იკრებავს უკანასკნელ ძალას... ვედრების ხმით ეკითხება; „იქნებ მუშა გჭირიათ? იქნებ შეშის დახეთქვა გინდათ? ნახშირის ამოზიდვა სარდაფიდამ!

—არა, არაფერი არ გვინდა! გასწი გაეთრიე!

საარჩევნო უფლებაზე; ჩვენთვის სულ ერთია, ვისი საარჩევნო უფლებაც უნდა იყოს, რადგან ყველა არჩევანი თავისი ბატონისა ჰგავს იმას, რომ კაცმა მტარვალი, სენი აირჩიოს.—ამ შემთხვევაში კაცი ან აბსოლიუტური პესსიმისტი უნდა იყოს, ე. ი. უნდა სწამდეს ჯერ ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველთვის აუცილებლად ცოდვათა ბარტყობაა და შემდეგ ის მიუცილებელი დასკვნა აქედგან, რომ ამ მიუცილებელი ცოდვის ბარტყებიდგან უფრო მორჩილი ტანის ბარტყი, უმცირესი ცოდვა უნდა იქმნას არჩეული. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენდა, საბედნიეროდ კაცობრიობისა და მუშა ხალხისა, აბსოლიუტური, განუსაზღვრელი პესსიმიზმი აბსურდია ისე, როგორც განუსაზღვრელი, აბსოლიუტური ოპტიმიზმი; ამიტომ თვითეულ მათგანში ისე როგორც მათ შორის არჩევანი სისულელეა, ჭეშმარიტება ამათ გადაღმაა, მათ უარის ყოფაშია—ბატონისარჩევის უარის ყოფაშია.

მაგრამ არ გასჭრა სოციალ-დემოკრატიის მიერ მიღებულმა ტაქტიკამ, არ უშველა მას თავის თავზე ფეხის დადგმამ. ის სამინისტრო, რომლის სურვილების შესახვეწრად სოციალ-დემოკრატია მიდიოდა, დასტა იმ კლიკამ პარაზიტებისა, რომელიც სწოვს წვენს ხალხის სხეულიდგან, საზოგადოების, იმ სისხლის მწოველ წურბელებმა, რომელთაც არ უნდათ ხელი გაუშვან თავის მსხვერპლს, თავის მსუქან პრივილეგიებს.

მაგრამ, როდესაც 1 მაისს მუშა ხალხმა დაიწყო დენა ვენის ქუჩებში, დიადი იყო ზნეობრ ვი მნიშვნელობა მისი მედიდუ[illegible]ლობისა.

მიდიოდნენ უთვალავი დასტები მუშებისა და მათი სიმრავლე ავსებდა ვენის მოედნებს დ მის ქუჩებს ისე, როგორც მოლოდინი სოციალური რევოლიუციის ბურჟუაზიის გაუმაძღარ გულს შიშის ზარით, იმ შიშის ზარით, რომლის პატარა დოზაც კი საკმარისია ბურჟუაზიის ყველაფერ დანარჩენით გაუმაძღარი გულის გასაძღომათ.

შედეგი ამ დემონსტრაციის ის იყო, რომ მთავრობამ თავის სათავეში ჩააყენა ისეთი კაცი, რომელსაც სწამს საყოველთაო არჩევანი, მაგრამ ვისი წყალობით? ვისი და იმ ლატაკთა წყალობით ვინც გააკეთა ყველაფერი, რაც კი მოეპოვება საზოგადოებას და რომლის შეუძლებლობას აღიარებს სოციალ-დემოკრატია თავისი პარლამენტარიზმით, მაგრამ მაშინ კი, როდესაც ნამდვილი ბრძოლა შეიქმნა საჭირო, პროლეტარიატი ყველაფრის და ყველა სიმდიდრის შემქმნელი, თვით-კი ლატაკი გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე დ პარლამენტარიზმი კი ჩამოდგა.

ჩამოდეგ შენც, ბურჟუა!

ლატაკნი მოდიან!

ალი.

# რუსეთი.

— გაზ. „სპრაველ.“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ „გორემიკინმა წაუკითხა საბჭოს ადრესის პასუხი.“ პასუხი უარ-ჰყოფს საბჭოს ყველა მოთხოვნილებას. „ამან ცხარე პროტესტის სიტყვები გამოიწვია: სჩანს, რომ უკანასკნელი მშვიდობიანი მოლაპარაკება ხალხსა და მთავრობის შორის გათავდა. კულუარებში ირწმუნებიან, რომ გორემიკინს საბჭოს დათხოვნის რესკრიპტი ჯიბეში უდევს.“

— 1 მაისს ნავთსადგურში ადმირალ კუზმიჩის მოკვლის გამო, გამოწვეულ იქმნა გვარდიის ეკიპაჟის მატროსები. ადმირალ ნიდერმილლერმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა მატროსებს: „ძმებო, ნუ დაივიწყებთ ფიცს. საჭიროა ჩვენთვის გავუსწორდეთ იმათ ე. ი. მუშებს, კუზმიჩის სკვდილის გამო. მიხვდით თუ არა ამას ძმებო?„ ამ სიტყვეზე მატროსები ხმას არ იღებენ. ადმირალი ბრაზდება. კითხვას იმეორებს, მაგრამ მატროსები სიჩუმით აძლევენ პასუხს. ბოლოს აფიცერმა უბრძანა მატროსებს თოფები ხელში დაეჭირათ, ,,მუშები ერთს ადგილას მოემწყვდიათ“. მატროსებმა თუმცა-ღა თოფები მოიმარჯვეს, მაგრამ როდესაც ჩუმათ მდგომრე გროვას, თოფები ძირს დაუშვეს. შთაბეჭდილება საოცარი იყო. საქმე იმით გათავებულა, რომ ჯარის სხვა ნაწილები გამოიწვიეს.

—გაზ. „სტრანა“-ს ატყობინებენ, რომ არეულობის ჩასაქრობად დემიანის მაზრაში, გამოწვეულმა სალდათების როტამ სროლაზე უარი განაცხადა, რის გამოც გამოგზავნილ იქმნა სხვა როტა.

სოც.-რევოლიუციონერთა გადაწყვეტა. სოც.-რევოლიციონერთა ცენტრალურ საბჭოს დაუდგენია, როდესაც თავისუფლებანი განხორციელდება, მოახდინონ პარტიის რეორგანიზაცია. აზრადა აქვთ, გარდაქმნან პარტია აშკარა პარტიად დემოკრატიულ საფუძველზე. მიღებული იქნება მხედველობაში ადგილობრივი პირობანი. პროგრამა არ შეიცვლება.

ახალი ჯარის დაბარება. „რ. ვ.“-ს და სხვა გაზეთების სიტყვით, ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ერთი დივიზია ჯარი დაუბარებია რუსეთიდან. ნამესტნიკი თხოულობს, ჯარი დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს. 7 მაისს წამოსულა მეოთხე სარკინისგზო ბატალიონი.

ომი ოსმალეთთან. „რუს. სლ.“-ს შემდეგ ამბავს ატყობინებენ ტფილისიდან: „ყარსში ყოველ დღე იგზავნება ჯარი. მიდიან უფროსებიც. აუცილებლად მოელიან ომს და ჯარსაც იმიტომ ჰგზავნიან. ყოველ ექვს გარეშეა, რომ ოსმალები მხნედ ემზადებიან. ისინი რუსის საზღვარზე კარგა ხანია დიდძალ ჯარს უყრიან თავს. ომი ამ ზაფხულ არის მოსალოდნელი.

აგრარული მოძრაობა. როგორც „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში განუწყვეტლად შემოდის გუბერნატორების მოხსენები აგრარულ მოძრაობის დაწყებაზე. გლეხები, მიუხედავად ადგილობრივ პოლიციის მუდარისა, თავის ნებით სთესენ პურს და სჩეხენ ტყეს სახაზინოს და კერძოდ მფლობელებისას. უფრო საშიში ცნობები ვოლგის მხრიდან მოდის. აგრარული მოძრაობა თავს იჩენს პეტერბურგის გუბერნიაშიაც. ლუგოვსკის ოლქის ტყის მცველი 7 მაისს ტელეგრამით იტყობინება, რომ 4 მაისს ვლადიჩკინოს ლუესკას მაზრის სოფლელნი თავის ნებით აძოვებს ნახირს ორანიენბაუმის სამფლობილოში და დაუკითხავათ სჩეხს სახაზინო ტყეს.

მოხუცი აკაკუნებს მეორე კარებს: „საქმე ხომ არ გექნებათ ჩემთვის?“

—არა—გაისმა მკაცრი ხმა და მიჯახებულ კარების ქარიც ნელის შებერვით ეუბნება.

მშიერი, სულით არ ეცემა, იმედს არ ჰკარგავს. ის ეკითხება შემდეგს: „იქნებ ხალიჩები გაქვთ გასაბერტყი?“

მას დასცინიან: „კი, კი გიცნობთ თქვენ, გიცნობთ რა შვილებიც ხართ! შეაჭოლე!..“

სანამ ნათელი იყო, მშიერი სიარულს და კითხვას განაგრძობდა; სთხოვდა და ჰკითხავდა.

მაგრამ ღამის წყვდიადმაც უწია. სიბნელის მოახლოებისთანავე მან იგრძნო სისუსტე და დაღლილობა. დარდის ნაღველმა აუვსო გული; სიცივემ გაურბინა მთელს სხეულში. გულის სიღრმიდან ამოიოხრა.

არსად არ არის სამუშაო, არსად, არავითარი.

დაღვრემილს, ნახევრად მთვრალს, სადღაც წალკოტიდამ, ამაო სოფლის სამოთხიდამ მოედინა გემრიელი საჭმელთა სუნი და შემოესმა ტკბილი მუზიკის ხმა.

ოჰ! ამ მშვენიერის, ამ ტკბილის ხმებით ატკბობენ, ართობენ ვახშმის შემდეგ მთვლემარე მსუქან ბატონთ, კეკლუცათ მორთულ ქალები.

და საბრალო ძლივსღა ოხრავს... რა მიუწდომელი ნეტარება იქმნებოდა სადმე თბილი კუთხე და ცოტა რამ შესაჭ...

მაგრამ ეს შუშები, ეს რკინის ზღუდენი, მაგრამ წვეტიანი შუშები ღობეზე.

უნებლიეთ ხელი მაღლა ეჭიმება, თავს იცვავს ცივ რკინის წვეტებისაგან. ამისთანა „გალიუცინაცია“ მუდმივი თანამგზავრია მშიერთა.

მოხუცი ჰკრთება და კვლავ განაგრძობს თავის გზას.

დაფიქრდი ხელად, შენ საბრალო დამშეულო, რა აუარებელ სიმდიდრეს ხედავ შენს გარშემო. მიდიხარ შენ, განაგრძობ გზას მშიერი და ამავე დროს შენს მარცხნივ და მარჯვნით ოქროს ზოდები აწყვია. შენი ჯიბე კი მოკლებულია თითბრის გროშსაც.

ასე ცარიელის მუცლით ფრატუნის დროს, მას ეჩვენება რომ ქუჩაში, არც ისე მაღლა ჩამოშვებულია უზარ-მაზარი თავი, ხოლოთ ერთი პირ დაღებული თავი და ამ ხარბ-აღზნებულ პირს გამოუყვია გძელი ამოხახული ენა.

დაღამდა, მთვარე და ვარსკვლავები არსად სჩანდნენ. მშიერმა კასტელისკენ შემოუხვია. უზარ-მაზარი სურათი უხსოვარ დროის შენობისა და მისი მაღალი, თვალ-უწვდენელი კოშკ-სიმაგრენი ფანრების შუქზედ გამოსჩნდნენ შავ-კუნძულად, ნისლით გარემოცულ ღრუბლად.

პოლიციელთა შიშის ცახცახში, დამშეული მიუახლოვდა ღვთის-მოსავთ სამ სიკეთის მფარველთ: სარწმუნოებას, იმედს და სიყვარულს, შემოიკეცა მათს შესავლის მარმარილოს კიბეზედ და ჩაეძინა.

ბეჩავს ესიზმრა. ნახა ერთი იმ სიზმართაგანი, რომელსაც ნახავს ჩვეულებრივ ის, ვინც იძინებს გამოფხეკილ კუჭით გამხმარ საწოლზედ. ესიზმრა ვითომ იმყოფება წმ. პავლეს საკათედრო ტაძარში, თაღ-ქვეშ იმყოფება ინგლისის ბანკი. აკლდამები სავსეა ოქროს დ ვერცხლის ზოდებით. საკურთხეველზედ დაწყობილი ტომრების ხროვა გუმბათამდე უწევს. მკვიდრ სვეტებზედ წამომჯდარი ანგელოზნი სთვლიან და სწერენ ფულებს, ფულის მშოველნიც აქვე არიან, ისინი თავით-ფეხებამდე დახაზულან ციფრებით.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

ტომრების ხროვაზედ, თითქოს სამეფო ტახტზედ გამოჭიმულა მთელის თავის სიწმინდით რაღაც უცნაური ღმერთი.

ეს მამონაა, კერპი, ქანდაკება მამონისა. მის თავზედ ამართულია ცის რკალის მგზავსი მაღალი და ღრმა გუმბათი. არა, ეს ღმერთი კი არაა.

კერპის შუბლს არც სილამაზის, არც სიკეთის დაღი არ ამჩნევია. იოტის დენი სიძლიერის კვალი არ გამოიხატება მის ქანდაკებაში. რაღაცა შესაზარი, მყრალი სუნი და ოხშივარი ასდის კერპს. რაღაცა სიხარბის, გაუმაძღარ უფლება-მოყვარეობის საზიზღარი, ამყრალებული ქარი მოსისინებს მისგან... რა საშინლად ჰგავს ტრენდიდელ სტრიტის საბირჟო მეუფებას. იმისთანავე მოგრძო ცხვირი, ვიწრო ტუჩები, „ციფრებზედ“ ხარბად მიჩერებული თვალები. თხელი, ქაჩალი, აქა იქ ამოსული, გატკეპნილად გადაბარცხნილი უკან, თმა; ძირს ჩამოშვერილი გამხდარი ლოყები. სამასხარო ტანთსაცმელი, ლურჯი, მარგალიტივით მოპრიალე სერთუკი, იმავე ფერის ფეხთ-საცმელი, გულზედ მო-

...ყველა ამას გლეხები სჩადიან აშკარად, დღისით, საერობო დარაჯების და პოლიციის თვალ წინ, რომელსაც ვარაფერი გაუწყვია. არ შველის არც თხოვნა, არც მუქარა. გლეხები აღელვებული არიან.

## ახალი ამბები

გუშინ 14 მაისს დილის $9^1/_2$ საათზე, როცა თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ზ. ტიმოფეევი და პოლიცმეისტერი, ბ. მარტინოვი ეტლებით გოლოვინის პროსპექტზე მიდიოდენ, ვიღაც უცნობებმა დავიდოვის ქუჩიდან ბომბები ესროლეს როგორც ერთს ისე მეორეს. გენერალ გუბერნატორის ბომბა გასკდა და სასიკვდილოთ დასჭრა ერთი მხლებელთაგანი. მეორე ბომბა კი არ გასკდა. ბომბის მსროლელი პოლიცმეისტერმა იქვე მოჰკლა. გამოძიება სწარმოებს.

— 13 მაისს მიხეილის პროსპექტზე ა. დ. მაკაროვი საღამოს $9^1/_2$ საათზე გამოსულა მეზობლის ფორერის მაღაზიაში ფულის დასახურდავებლათ. როცა გამობრუნებულა ფორერის მაღაზიის წინ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველს რევოლვერი უსროლია. მძიმეთ დაჭრილი მაკაროვი სავადმყოფოში წაიყვანეს, მსროლელი კი მიიმალა.

— გოლოვინის პროსპექტზე მდივნის შენობაში მელიქ-მუშკამბარიანცის ფართლეულის მაღაზიიდან 13 ღამეს გაუტაცნიათ 11,800 მანეთის საქონელი და 11 მ. 69 კ. ფულათ ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

— როგორც შევიტყვეთ კავკასიის ნამესტნიკს ნება დაურთავს საგუბერნიო ბჟითალთა ინსპექტორების კრების გამართვა. გარდა ინსპექტორებისა, ამ კრებაზე მიწვეულნი [illegible]ბიან 5 წევრი სასოფლო სამეურნეო საზოგადოებიდანაც. კრება განიხილავს საკითხს, თუ რა საშვალება იხმარონ კავკასიაში საქონლის ჭირის მოსასპობლათ.

— მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის სახლებში აღლაძის დუქანში გალებულ ფანჯრიდან გადიპარნენ 5 შეიარაღებული კაცი. წაართვეს აღლაძეს 360 მ. ფული, ორი ვერცხლის ქამრები, ღირებული 100 მ. და ამის შემდეგ მიიმალნენ.

— 13 მაისს 4 საათზე ვერაზე სათავად-აზნაურო გიმნაზიის წინ, როცა დიმიტრი დუმბაძეს მუშებისთვის დასარიგებელი ფული მიჰქონდა, დავს დაესხნენ სამი შეიარაღებული კაცი. წაართვეს 750 მან. ფული, შემდეგ დასჭრეს დუმბაძე და მიიმალენ.

— 13 ამ თვეს, ღამის 1 საათზე ვოკზალნი ქუჩაზე „ВСТАН СПЯЩІЙ-ის“ რედაქციაში მისულა მეორე უბნის ბოქაული პოლიციელებით, წარუდგენია გენერალ-გუბერნატორის განჩინება რედაქციის დახურვაზე ბ მერმე კი გაჩხრეკას შესდგომია.

წაუღიათ 1000 ცალი გამზადებული ნომერი და წასულან.

აღვნიშნავთ, როგორც არა ჩვეულებრივს მოვლენას, რომ პოლიციელთ თურმე თავი ზრდილობიანათ და წყნარათ ეჭირათ.

— 14 მაისს მთელს ქალაქში პოლიცია ართმევდა გაზეთის დამტარებლებს ცალკე ნომრებს „ВСТАН СПЯЩІЙ-სას.“

— ამ დღეებში კავკასიის ოლქის მზრუნველს წარსდგომია გორის ქალთა გიმნაზიის დეპუტაცია და უთხოვნია იმ მოსწავლეთა შემდეგ კლასებში გადაყვანა, რომელთაც, აქვთ ნიშანი 3, ან მეტი.

მზრუნველის დეპუტაცია კარგათ მიუღია და შეპირებია თხოვნის ასრულებას.

— პარასკევს, 12 მაისს მეტეხის საპყრობილედან ორი ათასი მანეთის თავდების ქვეშ გაანთავისუფლეს ამ ორი თვის წინ დაპატიმრებული პოლიტიკური დამნაშავე ანდრონიკე ჯაყელი, რომელსაც ს.-რ. სტამბა უნახეს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშების სააგენტო).

**პეტერბრგი**, 13 მაისი. სახელმწიფო სათათბირო. ბრწყინვალე სიტყვას წარმოსთქვამს, პროფესორი კოვალევსკი, რომელიც უარს ყოფს დეკლარაციის დაფუძნებას, ვითომ იძულებითი გამოსყიდვა მიწებისა არღვევს კერძო საკუთრების უფლებას, ამნაირ მაგალითს წარმოადგენს გლეხების განთავისუფლება. ორატორი წინადადებას აძლევს კრებას, რომ ჰკითხონ მინისტრებს, როგორ გაბედეს იმათ მოქმედება წინაამდეგ მეფე განმათავისუფლებელისა. შემდეგ გადავიდა ამნისტიაზე, და განაცხადა, რომ მინისტრებმა ტყუილათ მისცეს ცნობა სათათბიროს, რომ ამნისტია შეადგენს მანარქიის პრეროგატივს'' ეს ჩვენ თვითონ ვიცით. თუ არ ეკითხებიან მინისტრები თავის თავს, რა არის ნება ხელმწიფისა, მაშინ შეურაცყვეს ხელმწიფე. მაშასადამე ჩვენ კი არ უნდა უთხრათ დაანებეთ თავი სამსახურსო, არამედ თვით მეფემ უნდა გაანთავისუფლოს სამსახურიდგან, ორატორი დასძენს: ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას უშიშრად. მხოლოდ ღრმა ძალას შეუძლია, რომ ჩვენ გვაიძულოს აქედან წასვლა (ტაშის-ცემა). კოვალევსკი ადგილიდგან დგება და თავს უკრავს სათათბიროს. ტაშისცემა განახლდა.—გრაფი გეიდენი აცხადებს, რომ მშვიდობიანად უნდოდა სათათბიროში მუშაობა, მაგრამ, მინისტრების დეკლარაციამ დაარღვია მისი იმედები.

ორატორი ამბობს, რომ საკუთრების პრინციპი არ იცვლება იძულებითი გამოსყიდვით, სამინისტრო უწინ უარს ამბობს, სახელმწიფო მოთხოვნილებებისთვის, მიწების ჩამორთმევაზე. სამინისტრომ უნდა დატოვოს სამსახური. სათათბიროს კი არ აქვს ნება აიძულოს მინისტრები, არამედ სათათბიროს შეუძლია უჩვენოს მიზეზები, სამსახურიდან გადადგომის აუცილებლობისა. (ერთსულოვანი ტაშის კვრა). სხდომა დაიხურა საღამოს $7^1/_2$ საათზე.

**ლიუბლინი**, 13 მაისი. 14 ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხნენ პლენევსკის სახლს და გაიტაცეს 4000 მან. ერთი დამნაშავე დაჭერილია.

**პეტერბურგი**, 13 მაისი. დღეს სახელმწიფო სათათბიროს წევრებს დაუგზავნეს მინისტრთა საბჭოს შე-

---

...პრჭყვიალე მონოკლი. საზოგადოთ მაღალი საბრალო ქმნილება.

გაშტერებული მშიერი გაუგებრად შეჰყურებს კერპს. ეშმაკი იხრის შუბლს, სრუტნავს ცხვირით; გრძნობს უცხო, დაუპატიჟებელ სტუმარს. მონოკლი ინძრევა.

მამონა ეშმაკურის თვალით შესცქერის, შეჰყურებს ბეჩავს... „რა უნდა, რა ადგილი აქვს აქ ამ მთხოვარას, ამ ტიტველას? ჰეი, შენ ძონძებიანო! შენ მუცელ-ცარიელო!. განა გადაიხადე შემოსასვლელი ფული! შენ გროშიც არ გაქვს! მაიცადე. მოითმინე ცოტაც, მე მოგცემ, მე გიწყალობებ! კერპი დაიხარა! შეახო ხელი ოქროთი სავსე ტომრებს და გადმოაფანტა საწყალს თავზედ. პირველს ტომარას მოჰყვა მეორე, მეორეს—მესამე. ფულის სეტყვა ახრჩობს, სულს უხუთავს ბეჩავს. საბრალო ძლივსღა სუნთქავს, ოდნავ იბრუნებს სულს... ოქროს ზვავი თანდათან იზრდება. მოხუცი შიგ იმალება. მშიერი იკუნტება, ინძრევა, ბოლოს წამოხტება, დასუსტებული ფეხები ძლივს იმაგრებენ ძალა-გამოცლილ სხეულს. „ოჰ, ოჰ!“ იხრავს შეშინებული და ცახცახებს მთელის სხეულით. იწურავს შუბლიდამ ყინულივით ცივს ოფლს.

ეს ყველაფერი ხოლოდ სიზმარი იყო.

მკრთალი აჩრდილი სახლებისა უკვე მოსჩანს ლურჯ ცაზედ. თენდება. ტანის ხეხვით და ხელების მტვრევით მოხუცი სცდილობს გათბობას.

წინ!..

მაგრამ საით?..

გუშინ მან ნახა სიმდიდრით სავსე დუქნები, რომელშიაც უფულოთ არ შეისვლება. აქ ამ მდიდარ სასახლეებში, სადაც დაფლეთილთაგან დასაცველად ჩამწკრივებულან ლაქიანი „ლიფრეებში“, აქ ამ ქვათა უდაბნოში ვერ ჰპოვებ, შენ ლატაკო, ადამიანურს გულს; მაშ უკან! უკან ხალხში! ნავთ-სადგურში, სადაც იცლება და იტვირთება გემები; მაშ იქით, სადაც გინახავს მჭიდროდ შეჯგუფული ხალხი, სწრაფად მომხიარულენი ტემზის ხიდზედ. მაშ იქ, ჩაერიე იმ ხალხში და დაიღუპე შიგ ვით წვიმის ცვარი აღელვებულ ზღვის ზვირთებში ურიცხვ, უთვალავს შენს მზგავს ათასებს უამბობენ ჩემი თვალები მწარე ხვედრზედ.

ნუ თუ თვით ქვეყნიერების გულის სიღრმეში, მის ნამდვილ სხეულში ვერ ჰპოებ მოძმე სულს, რომელიც მიხვდება ჩემს ბეჩაობას.

იმედი გამაცოცხლებელ ღვინოდ ესვება მის ძარღვებს, იგი ამხნევებს დამშეულს ლატაკს. დასუსტებული, მშიერის მუცლით ჩამოდის კიბეზედ, ივიწყებს სიცივეს, ჰკარგავს შიმშილს, იკლავს წყურვილს... წინ! ლონდონ ბრიდჟში!

იმედი!... რა მიუწვდომელ, უძლეველ ძალის ბატონად გამხდარა იგი! მშიერი კვლავ „სტუმრობს“ მდიდარ უბნებს და მშვენიერ ქუჩებს. დილის ნიავი გაჟღენთილა ლორისა და სხვა და სხვა ხორცის სუნით. ამომავალ მზის ბრწყინვალე სხივებით გაკაშკაშებულ ნახევრად ღია ფანჯრებიდამ მოსჩანან მდიდრულათ მორთული ლამაზ ძიძებთან მოარშიყე ლაქიები.

მშიერი ძლივს იკვლევს გზას. ნელი მოკაკანე ხმა პიანინოსი სიმთვრალის ბანგს ურევს ისედაც გაუძლურებულს სხეულში.

კვლავ ბეივატერი... ფართო ოკსფორდის ქუჩა, გოლბორნ-ჰილლი... სიტი მშვენიერი სიტი... მდიდარი მაღაზიები... უთვალავი მძიმედ დატვირთული გემები მოცურავენ სხვა და სხვა ქვეყნებიდამ. აქაა საერთო გორგალი, ჯარა ხმელეთზედ გაქსაქსულ ძაფებისა. აი კვლავ ინგლისის ბანკი—გული კაცობრივობისა... საკათედრო წმ. პავლესი... აი, აი მოფუსფუსე ხალხით ლონდონის ხიდი! ეღირსა! ძლივს მიაღწია.

მშიერი თვალს ავლებს, აკვირდება მჩქეფარე ხალხს.

აქ, აქ ის იპოვის უცნობს ძმას, გრძნობიერი გული დაინახავს მის სიღარიბეს, ამოიკითხავს მის სახეზედ სიმშილის დაღს. და თუ „ძმა“ ისე ადრე არ გამოუჩნდა, ის თვითონ მონახავს მას, მოსძებნის, ჰპოვებს, დაუწყებს მზერას, შიგ თვალებში გაუყრის თვალს თავის მხსნელს!

ბეჩავი სავსებით ჩაერია კაცთა ნიაღვარში, ეძებს, სულს, გულით სურს მისი პოვნა, აუცილებელია, საჭიროა მისთვის ადამიანი. ის მშიერია, ძალზედ მშიერი.

აზვირთებული ტალღა იტაცებს მშიერს, ლატიკი გრძნობს თავს სუბუქად, ლაღათ; ზვირთები იზრდებიან, უფრო მაღლა იტაცებენ. ტალ-

მუშავებული პროექტი საყოველთაო სწავლის შესახებ. ხარჯი საყოველთაო სწავლისა აღრიცხულია 891.075,590 მან. ბექვდითი სიტყვის უმთავრესმა სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა სასამართლოში მისაცემათ 129 მუხლ. ძალით „ნაშა ჟიზნის“, „დუმის“, „რაბოჩეე სლოვოს“, „ნევსკაია გაზეტას“ და „ვოლნას“ რედაქტორების წინააღმდეგ თავიანთ გაზეთებში შეერთებული კრების რუსეთის სოციალდემოკრატთა მუშათა პარტიის დადგენილების მოთავსებისათვის.

**პოლტავა.** სოფელს ქუჩში სამი უცნობი თავს დაესხა სახელმწიფო სარაყის საწყობს გაიტაცეს 900 მ. და დაიმალნენ.

**ტომსკი.** გაანთავისუფლეს 40 მეტი ტუსაღი.

**პეტერბურგი**, 13 მაისი. ავტორიტეტულ წყაროებიდან შეგვიძლია შევატყობინოთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვის შესახებ ხმები უსამართლოა. სათათბირო იმუშავებს 6 კვირას და ივნისის დასაწყისში იქნება დათხოვნილი კანიკულებზე. მინისტრების დათხოვა დამოკიდებულია უმაღლეს უფლებიდან.

**პეტერბურგი**, 14 მაისი. სხვა და სხვა გაზეთებში გავრცელებული ხმები ვითომ ჯარი შეიყვანეს სათათბიროში დეპუტატების დასაჭერათ, და სამხედრო დიქტატურას აცხადებენო, ეს თავიდან ბოლომდი ტყუილია".

**სარატოვი**, 14 მა[illegible] სატუსაღოს უფროსისთვის მ[illegible] ალმოჩნდა ალექსანდროვის სახელ[illegible]სნო სასწავლებლის ყოფილი მოწ[illegible]ფე, ცხრამეტი წლისა. შეკითხვაზე იმან აჩვენა რომ, ის ვეკუთვნის სოც.-რევოლიუციონერთა მებრძოლ რაზმს. სატუსაღოს უფროსის მდგომარეობა უიმედოა.

**პლოცკ**, 14 მაისი. დღეს გაანთავისუფლეს 8 პოლიტიკური დამნაშავე, რომლებსაც სიბირში გადასახლება გადაწყვეტილი ქონდათ.

**ოდესა.** ანარქისტ ქალს დერკაჩს, შეიარაღებული თავდასხმისთვის სახლის პატრონ ზასლავსკიზე, რომელმაც უარი თქვა ნათხოვნ ფულის შეტანაზე და პოლიციელის მოკვლისთვის, 8 მაისს სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ჩამოხრჩობა. სასამართლოს შუამავლობაზე ჯარების უფროსთან ჩამოხრჩობის კატორგაზე შეცვლაზე, ბრალდებულმა უარი განაცხადა. (რუსკ. ვედ.)

**ოდესა**, 13 მაისი. პორტში ორთქლმავალზე მსახურების გაფიცვა დაიწყო. მოთხოვნილებები ეკონომიურ ხასიათისაა. გაფიცულია რამდენიმე ათასი. ორთქლმავალი გემები ვერ გავიდნენ დანიშნულ დროზე. პორტს ჯარი იცავს. სამხედრო სასამართლომ გეილანდიის ელექტრო-ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეს, რომელსაც ბრალი ედება კორელიცკის სადგომზე ავაზაკური თავდასხმა, მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

**ტულა**, 13 მაისი. ვაჟების გიმნაზიის დირექტორი რადეცკი, თავის კაბინეტში, დასჭრეს რევოლვერით გულში და მალე გარდაიცვალა. მსროლელი მიიმალა.

**კიევი**. 13 მაისი. თავის სადგომში ვლადიმირის ქუჩაზე მოჰკლეს სამსახურ გარეშე სამხედრო ექიმი დ. ს. ს. ლაზარენკო. ბოროტგამზრახველებმა წაიღეს ვერცხლის ნივთიერი და მიიმალნენ. დაუწვავი ყუთი ფულით მთელი დარჩა.

**ხრიტიანია**, 13 მაისი. იბსენის დაკრძალვა დანიშნულია 28 მაისისათვის.

**პერმ**, 18 მაისი. გუბერნატორ ბოლოტოვმა აღძრა შუამდგომლობა გაძლიერებული დაცვის მოხსნისა.

**ეკატერინოსლავი.** პოლიციამ დააპირა დატუსაღება თავ-მოყრილ ხალხისა კუდაშევსკის სასადილოში. ასტყდა სროლა. დაჭრილია რამოდენიმე.

**სარატოვი.** დღე წყნარად ჩაიარა, გავრცელებული ხმები, ინტელიგენციის და ებრაელების აკლებაზე სიმართლეს მოკლებულია.

აბალიხში შვიდი წლის პეტრემ კარდანოვმა რევოლვერით მოჰკლა ორი წლის ძმა.—

ბარისოვის მოწაფეს, რომელიც შემჩნეული იყო ჯაშუშობაში, ხელახლად ესროლეს და დასჭრეს. მსროლელი მიიმალა.

**ბუენოს.** ბუნების-აერიდან მოსულ გემზე დაატუსაღეს ხუთი ანარქისტი ყუმბარიანი ყუთებით, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ მილანის გამოფენაზე აფეთქება.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ვ. ი. შალიკაშვილი.**

---

# ჩვენი ბიბლიოთეკა:

**რ უ ს უ ლ ა დ:**

Кропоткина: Рѣчи бунтовщика.
его же Завоеваніе хлѣба.
его же Взаимная помощь.
его же Промышленность фабрично-заводская и земледѣліе.

Ельцбахеръ. Сущность Анархизма. С.-П.

სამი პირველი პეტერბურგის გამოცემაა, უკანასკნელი კი მოსკოვის

Земля и Человѣкъ Е. Реклю. გამოდის რვეულებად, რვეული 75 კ., სულ ღირს 30 მან.

**ქ ა რ თ უ ლ ა დ:**

ნობათი ყოველ კვირეული.
ოქმები ჟენევის კონფერენციისა.
ყველა ამასთან ვურჩევთ წაიკითხონ:
Исторія Матеріализма. Ланге.

---

ლი სცხრება, ზვირთები უკან ბრუნდებიან; ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლება. ძლივს-ღა ტორტმანებს... მუდარების თვალებით შესჩერებია მგზავრებს... ყველას საქმიანობა ეტყობა, ყველა ჩქარობს, ყველა საიდკენღაც მიისწრაფვის—ყველა ეჩქარება მოშორდეს ამ ჭაუვალ ხალხს, ამ ზედახორას, რომ ჩაერიოს უფრო ხშირს უფრო მჭიდროში. ყველა მათგანი დარბიან საქმისთვის, დარბიან ვით ზღვის ტალღები... როგორ შეუძლიათ შეამჩნიონ ტანჯვისაგან, სიმშილისაგან დაღვრემილი სახე. იქნებ კიდევ ამჩნევს ზოგიერთი, მაგრამ გარბის წინ, გარბის შეუჩერებლად და თან ბუტბუტებს; „მეც გაჭირებული ვარ, მეც შენზე ნაკლებ არ ვსაჭიროებ დახმარებას“.

ხმაურობა, სივიწროვე, მუჯლუგუნები!

თითქოს დედა-მიწა გამსკდარა და ამოუყრია თავის გვამისაგან ათასი, ათიათასი ქმნილება! ასე მიფრიალებენ ყოველ მხრივ დაუსრულებლივ გაუთავებლად! სურათი იცვლება! ყოველ ძველ გროვის ადგილ იჭერს ახალი.

და ამ გამოცვლაზედ, ამ ორონტრალზედ რატომ არ ფიქრობ, რატომ არ გაგონდება, მზერავო შენი დაუსრულებელი არარაობა, რატომ არ შეეკითხები შენ თავს :“ საწყალო ქმნილებავ, შენი არარა, საბრალო „მე“! შენ აძლევდი მას ასეთს მნიშვნელობას? ვერ ხედავ თუ ეს საბრალო „მე“! როგორ იღუპება, როგორ ინთქება აღელვებული მშიერი გრძნობს, რომ ყოველ საათობით წლის სიცოცხლე აკლდება. იმედი გაქრა!

ის დიდიხანია მოკვდა! ცივი სამარე დამშეულის გულში ჰპოვა.

მხედველობას ბინდი ჩამოეფარა.

ის უკვე გამოუდეგარი, ფასდაკარგული ნივთია, რომელსაც აგდებენ, ივიწყებენ გზაზედ.

როდის, როდის მოეღება ბოლო?..

დაღამდა. ცივა. დამშეულს შუბლი უხურს. დაჩერჩეტებს უკვე თითქმის უდაბნო ხიდზედ. მუაჯირზედ მიყურებული დაჰყურებს თემზის შავ-ბნელ ზვირთებს. ამ ღამის სივრცეში, ქუჩის ფანრების მოკამკამე შუქი რაღაც ბადის ნაირად ასურათებს წყლის ზვირთებს, რომლებიც ხან ჩნდებიან ხან ისევ იმალებიან სიბნელეში. საღაც შორიდან, დიდრონი, ბოროტი-მკაცრი თვალები ნათელით გამოიყურებიან ღამის სივრცეში. ეს გემების ფეროვანი ფანრებია. მათი სინათლე ხატავს გემთა, უზარმაზარ, მთის მინაგვარ ჩრდილებს.

მშიერი ჩასჩერებია შავს, მოსრიალე წყალს, რომელიც მიჰქრის ისეთის სისწრაფით, რომ დაიკარგოს, შთაინთქას ზღვაში.

შუქი სხივები თითქოს უჭვრიტავენ, თითქოს შედნან მამულის კეფაში, იხატებიან მის დაღლილ ტვინში; უთრობენ მას.

საბრალო დაბეჩავებულ გულის სიღრმეში ისმის ჩუმი, მაგრამ მკაცრი სასტიკი ხმა:

„ჩაეშვი ძირს! გადახტი ხიდზედ მშიერო ლატაკო, გადახტი! დაე, დაიღუპოს ეს უძლური სხეული! ცხოვრება მეტათ სასტიკია.

„ჩაეშვი ძირს უძირო სიღრმეში! იქ, მხოლოდ იქ ჰპოვებ რბილ საწოლს! გადაეშვი კეთილო მეგობარო!

აქ მაღლა ცის ქვეშ კაცთა სვინიდისი, პატიოსნება უფრო მღვრიეა მანდაურ შავ-ბნელ წყლის ზვირთებზედ.

მანდ სიღრმეში შენ ჰპოვებ ჩაუქრობელ სითბოს, იმავე ხვედრს, რაც აქ შენ მოძმეთა ცხოვრებაში მუდმივი თანამგზავრია!

ჩაეშვი ძირს; ხვალ აღარ იქმნები ისე მარტოკა, როგოც დღეს... მაში ჩაეშვი!.. ბეჩავო ჩაეშვი უფსკულში, ჩაეშვი ძირს... მოიკრიფე ძალა... ისკუპე!...

... წყლის ყრუ ტლაშუნმა დაარღვია ღამის სიჩუმე.

შალიკო ქ—ძე.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.